უშუალო მეთვალყურეობით მედიკამენტების მიღების შემდეგ, ხელი მოაწერეთ შესაბამის ფორმას. DOT პროვაიდერი (ექთანი), ასევე ხელმოწერით დაადასტურებს თქვენს მიერ მედიკამენტების მიღებას.

**! გამონაკლისი არ დაიშვება არავითარ შემთხვევაში, ანუ პაციენტი არ მიიღებს ფინანსურ დახმარებას თუ არ დაიცავს ზემოთაღწერილ წესებს.**

ფულადი წახალისების თანხა დაგერიცხებათ სპეციალურად თქვენთვის გახსნილ პირად საბანკო ანგარიშზე, რომელსაც სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ უსასყიდლოდ გაგიხსნით კომერციულ ბანკში. ამისათვის სამედიცინო პერსონალი მოგთხოვთ პირადობის მოწმობის ასლს. პლასტიკური ბარათის ასაღებად და პირადი საბანკო ანგარიშის გასააქტიურებლად მიმართეთ ბანკის უახლოეს ფილიალს (ბანკის იმ ფილიალის თაობაზე ინფორმაციას, სადაც შეგეძლებათ პლასტიკური ბარათის უსასყიდლოდ აღება და პირადი ანგარიშის გააქტიურება მოგაწვდით სამედიცინო პერსონალი). შემდგომში თანხის გამოტანა შეგეძლებათ როგორც ბანკიდან, ისე ბანკომატის მეშვეობით.

ექიმის სახელი, გვარი ________________________________

პაციენტის სახელი, გვარი ________________________________

მე ________________________________ გავეცანი წინამდებარე ინფორმაციას, ვეთანხმები შემოთავაზებულ პირობებს, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით:

ხელმოწერის თარიღი:

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი ივსება ორ ეგზემპლარად, რომლიდანაც ერთი რჩება პაციენტთან, ხოლო მეორე შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში

USAID ამერიკელი ხალხისგან

ტუბერკულოზის პრევენციის პროექტი

NCDC დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

## ინფორმაცია პაციენტისათვის

# ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობის რეჟიმის დაცვის შემთხვევაში ფულადი წახალისების (ინსენტივის) მიღების თაობაზე

ტუბერკულოზი გადამდები დაავადებაა, რომელსაც იწვევს ტუბერკულოზის ბაქტერია. ტუბერკულოზი ერთი ადამიანიდან მეორეს ჰაერით გადაეცემა. ტუბერკულოზის ბაქტერიით შეიძლება დაინფიცირდეს ნებისმიერი, თუ ის ჩაისუნთქავს იმ ჰაერს, რომელიც ამ ბაქტერიებს შეიცავს. ბაქტერია კი ჰაერში ხვდება ტუბერკულოზის გადამდები, ე. წ. “ღია“ ფორმით დაავადებული პაციენტის ხველის, ცემინების ან ლაპარაკის დროს. *ტუბერკულოზი არ გადადის საერთო მოხმარების ნივთებით, მაგალითად ჭურჭელი და სხვა.*

ტუბერკულოზი შეიძლება იყოს რეგულარული (სენსიტიური, მგრძნობიარე) ან რეზისტენტული (მდგრადი, გამძლე).

**რეგულარული ტუბერკულოზის** დროს ტუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერია მგრძნობიარეა ყველა ძირითადი ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტის მიმართ. ამდენად, თუ ექიმის დანიშნულებას ზუსტად შეასრულებთ მკურნალობა წარმატებით დასრულდება.

**! არ შეიძლება დანიშნული მედიკამენტების გამოტოვება, მკურნალობის გარკვეული პერიოდით შეჩერება ან დროზე ადრე შეწყვეტა.**

თქვენს მიერ მედიკამენტების მიღება უნდა მოხდეს ყოველდღიურად სამედიცინო პერსონალის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ.

რეგულარული ტუბერკულოზის მკურნალობა გულისხმობს რამოდენიმე სხვადასხვა ანტიტუბერკულოზური მედიკამენტის (ე.წ. პირველი რიგის ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების) მიღებას ექვსი თვის განმავლობაში. ეს მედიკამენტებია:

- იზონიაზიდი
- რიფამპიცინი
- პირაზინამიდი
- ეთამბუტოლი

ოთხივე მედიკამენტი უხშირესად ერთ ტაბლეტშია გაერთიანებული. ყოველდღიურად მისაღები ტაბლეტების რაოდენობა დამოკიდებულია პაციენტის წონაზე. მკურნალობის პროცესში შეიძლება ექიმმა შეცვალოს მედიკამენტის დოზა, ან დანიშნოს დამატებით ახალი მედიკამენტები იმ გვერდითი მოვლენების გამო, რომელიც შეიძლება ანტიტუბერკულოზურმა მკურნალობამ გამოიწვიოს.

მკურნალ ექიმთან ვიზიტისას ექიმი თქვენ გაგსინჯავთ და ჩაგიტარებთ ყველა საჭირო გამოკვლევას. თქვენი წონის შემოწმება მოხდება ყოველთვიურად. წონის ცვლილების და გამოკვლევის პასუხების შესაბამისად, შესაძლოა შეიცვალოს მედიკამენტების დოზა ან ერთი მედიკამენტი ჩანაცვლდეს სხვა თქვენს კლინიკურ მდგომარეობაზე მორგებული მედიკამენტით.

რეგულარული ტუბერკულოზის მკურნალობის პირველ ორ თვეს ეწოდება მკურნალობის „ინტენსიური ფაზა“, რომელიც შემდეგ გადადის მკურნალობის „გაგრძელებით ფაზაში“. მკურნალობის მეორე თვის, ანუ ინტენსიური ფაზის ბოლოს ტარდება ნახველის ნაცხის ანალიზი. ნახველის და სხვა საჭირო ანალიზები ჩატარდება გაგრძელების ფაზაშიც.

**გახსოვდეთ!** თქვენ შეიძლება თავი გაცილებით უკეთ იგრძნოთ მედიკამენტების მიღებიდან ცოტა ხნის შემდეგ: შეიძლება მოგეხსნათ ხველა, ზოგადი სისუსტე, ტემპერატურა გახდეს ნორმალური, დაგიბრუნდეთ მადა, მოიმატოთ წონაში. თუმცა ეს მდგომარეობის მხოლოდ ხანმოკლე გაუმჯობესებაა. თუ მკურნალობას არ განაგრძობთ და არ დაასრულებთ, დაავადება კვლავ იჩენს თავს გაცილებით უფრო მძიმე ფორმებში.

შესაძლოა მოხდეს პირიქით: გაგრძელდეს ტემპერატურა, ხველა და ზოგადი სისუსტე, რამაც შეიძლება გაფიქრებინოთ, რომ მედიკამენტები არ მოქმედებენ. უნდა იცოდეთ, რომ შესაძლოა თქვენი სუბიექტური მდგომარეობა სწრაფად არ გაუმჯობესდეს, მაგრამ მკურნალობის ბოლომდე მიყვანის და ექიმის მიერ დანიშნული რეჟიმის **სრული** დაცვის შემთხვევაში **ტუბერკულოზი იკურნება!**

**! ორივე შემთხვევაში თქვენ აუცილებლად უნდა განაგრძოთ მკურნალობა. მკურნალობის წარმატებულად დასრულებისათვის აუცილებელია ექიმის დანიშნულების ზუსტად შესრულება.**

**! გახსოვდეთ, სრული გამოჯანმრთელებისათვის საჭიროა მკურნალობის კურსის ბოლომდე ჩატარება!**

▶ ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის ფარგლებში ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა უფასოა.

▶ ამასთან მკურნალობის რეჟიმის სრულად დაცვის შემთხვევაში, თქვენ მიიღებთ ფინანსურ წახალისებას.

ფინანსური წახალისების გაცემა განხორციელდება ორ ეტაპად:

■ **პირველი ეტაპი** — მკურნალობის ინტენსიური ფაზის (დიაგნოზის დადგენისა და მკურნალობაში ჩართვიდან არანაკლებ 60 კალენდარული დღე) დასრულებიდან ამბულატორიულ მკურნალობაზე ყოფნის პირველი 28 კალენდარული დღის განმავლობაში მკურნალობის რეჟიმის სრულად დაცვის შემთხვევაში (არც ერთი გაცდენილი დღე) მიიღებთ 60 ლარს.

■ **მეორე ეტაპი** — მკურნალობის პირველი ეტაპის (ინტენსიური ფაზა არანაკლებ 60 კალენდარული დღე და ამბულატორიული მკურნალობა 28 კალენდარული დღე) დასრულებიდან რეგულარული ტუბერკულოზის მკურნალობის კურსის დასრულებისას მიიღებთ 100 ლარს, იმ შემთხვევაში, თუ არ გააცდენთ 5 კალენდარულ დღეზე მეტს (მათ შორის გაცდენები არ უნდა იყოს მიყოლებით 5 დღე);

